

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია

მისა და პრიორიტეტები

„საქართველოს კანონი მაუწყებლის შესახებ“ უფლებას აძლევს და ავალდებულებს მრჩეველთა საბჭოს, საზოგადოებას საჯარო განხილვისთვის წარუდგინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების პროექტი, რომელსაც ასვე ამტკიცებს და დებულობს.

ვფიქრობ რომ, საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრიორიტეტებს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გაშუქება, საზოგადეოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სიახლეების გაშუქება, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული გადაცემების წარმოება. სპორტისა და კულტურის საკითხების გაშუქება და საზოგადოებისათვის მოწოდება.

აუცილებელია საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის ჩატარება, შედეგების ანალიზი და ამის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება.

სამეურვეო საბჭო მუდმივად უნდა ცდილობდეს და მოითხოვდეს მაუწყებლის მენჯმენტისგან მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულების გაზრდას საკუთარი აუდიტორის მიმართ.

აქვე დავსძენ, რომ სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო და მისი თითოეული წევრი, რომელიც ამტკიცებს მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს, ვალდებული და პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს მაუწყებლის მუშაობას, იყოს გარანტი, რომ ყოველგვარი ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში უზრუნველყოს მაუწყებლობა. საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადეში აუცილებლად უნდა არსებობდეს ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების უფლებადამცველი ხაზის მქონე გადაცემები. სიღრმისეულად და მწვავედ წარმოადგინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა იქცეს საქართველოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ქალაქის ცხოვრების ამსახველად. იგი ქვეყანას მუდმივად უნდა აწოდებდეს ინფორმაციას რეგიონებისა და განსაკუთრებით სოფლების შესახებ.

საზოგადოების ყველა ფენა უნდა მოიცვას და არასოდეს არ უნდა გამოხატავდეს მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ან ჯვუფების ინტერესებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მთავარი მისა უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოება, რომლის გარეშეც რთულად წარმოსადგენია დემოკრატიული პროგრესიც და სამოქალაქო სტაბილურობაც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავრი მიზანია დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და ხალხთან მიტანა. ასევე უნდა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, საზოგადოების გაერთიანებას, დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი შიმშილი მიუკერძოებელი ინფორმაციული კუთხით. ბუნებრივია არ უნდა კონტროლდებოდეს ხელისუფლების ორგანოებისგან და საერთოდ არავისგან.

მიზნები და ამოცანები

ჩემთვის როგორც ერთი რიგითი მოქალაქისათვის ყოველთვის იყო და დღემდე რჩება კრედოთ, თეზა- „მოექეცი ადამიანებს ისე, როგორც გინდა რომ გექცეოდნენ“. - გამომდინარე აქედან თანამშრომლებთან არავისგან.

ურთიერთობა, ბალანსის დაცვა და უშუალო გარემო არის ძალზედ მნიშვნელოვანი. უურნალისტის უნდა უხაროდეს მისვლა სამსახურში. რათქმაუნდა უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა აკეთებდეს თავის საქმეს.

ეს გამოიწვევს თანამშრომლების მოტივაციის ამაღლებას, გამართული სამუშაო პროცესის უზრუნველყოფას.

აუცილებელი პირობაა დამოუკიდებლობა, აზრის და კრიტიკის თავისუფლად გამოთქმის საშუალება.

მნიშვნელოვანია შენობის საკითხის გადაწყვეტა;

ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალქისათვის. სასურველია ოყოს დაბალანსებული, მაგრამ მრავალფეროვანი. არ იყოს მოსახეზრებელი. უნდა იყოს აქტიური საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდი.

მაუწყებლობა ზუსტად უნდა ასახავდეს საზოგადოების ინტერესს, საინფორმაციოდან დაწყებული, გასართობი გადაცემებით დამთავრებული. გასაგებია, რომ ყველა აუდიტორიას თავისთვის საინტერესო გადაცემები ექნება, მაგრამ მაუწყებელი უნდა ისწრაფოდეს, რომ პროგრამების ერთობლიობით, საბოლოდ მთლიანად მოიპოვოს მაყურებლის ყურადღება და ნდობა.

ტელეპროდუქცია შემდეგ ძირითადად მიმართულებით უნდა განისაზღვროს:

1. პროგრამების სახეობებით;
2. მიზნობრივი აუდიტორიით;
3. განსახილვებით თემებით.
4. შრომის უფლებების დაცვა;
5. პენსიონერების, შშმ ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემები;
6. უმცირესობების და სხვადასხვა დაუცველი ფენების შესახებ სპეციალიზებული გადაცემები;
7. საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებისათვის გამოყოფილი საეთერო დრო უნდა ასახავდეს არხის ძირითად ფუნქციას და მან უნდა წარმოაჩინოს პოლიტიკური აზროვნების ჩასახვისა და განვითარების ეტაპები შემეცნებითი და საგანმანათლებლო თოქშოუებისა და ფილმების ფორმით.

არხისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელიბა აქვს, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი გადაცემების წაყვანებს, ისინი არხის სახეები უნდა იყვნენ. უურნალისტის მიერ გამოძრეწილ მასალას შესაძლოა ოქროს ან პირიქით, ჩალის ფასიც კი დაედოს. ჩემთვის მნიშვნელოვანია მიღვიმა საკუთარი საქმისადმი.

პროფესიონალ წამყვანების გარდა, საშუალება უნდა მიეცეს სხვადასხვა სფეროს ღირსეულმა წარმომადგენლებმაც სცადონ თავი ახალ ამპლუაში. მათი ავტორიტეტი და სანდოობა, ძალიან ბევრს ნიშნავს.

სტაჟიორი - მუდმივ რეჟიმში უნდა იზრდებოდეს კვალიფიციური, გამოცდილი კადრის ხელში და ყალიბდებოდეს.

პრინციპები:

- დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებულება- ხალხის მიმართ;
- საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული მაუწყებლობა და ჩართულობა;

- ნებისმიერი ინიციატივა მაუწყებლის ინტერესთა ჯგუფებთან კომუნიკაციის სფეროში, უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიანობასა და ხარჯთეფექტურობას;
- საყოველთაობა;
- ხარისხი და სანდოობა;
- ინოვაციურობა;
- გრძელვადიანი ხედვა.

ყურადღება უნდა გამახვილდეს საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო თემატიკაზე პოლიტიკური და გენდერული ბალანსის, დაცვის აუცილებლობაზე.

თემატიკა

რაც შეეხება ისტორიული მოვლენებისადმი მიმღვნილ გადაცემებს, უმნიშვნელოვანესია ასახავდეს საქართველოს სახელმწიფოს ფორმირების პროცესს, ისტორიის მოვლენებს.

მაუწყებელი უფრო მეტად უნდა წარმოაჩენდეს მის ისტორიულ პერსპექტივაში რითი არის ჩვენთვის დასავლური ცივილიზაცია მისაღები, საინტერესო და ჩვენი. იმავდროულად რა შევციმლია შევთავაზოთ ჩვენ დასავლურ ცივილიზაციას.

ქართული და მსოფლიო კინო, მუსიკა, თეატრი, მწერლობა, არქიტექტურა და კულტურის სხვა სფეროები საზოგადოებრივი მაუწყებლის ობიექტივის პრიორიტეტები უნდა გახდნენ. მათ უნდა “გამოკვებონ” მოქალაქეთა შემოქმედებითი წყურვილები და ინტერესები.

ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა, ოჯახში მალადობა, ბავშვებთა უფლებები, ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების საკითხები და უფლებების ფართო სპექტრი მუდმივად უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოკუსში.

სავარაუდო პროექტები

ქვემოთ მინდა მოვიყვანო ჩემი აზრით ის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და თემები, რომლებზე შექმნილმა სატელევიზიო პროექტებმა შესაძლოა საზოგადოების დაინტერესება გამოიწვიოს:

საჭიროა ისეთი გადაცემები სადაც ექიმები რჩევებს მისცემენ საზოგადოებას, ტელეეთერიით გაუწევენ საჭირო, მათთვის აუცილებელ საკითხებზე კონსულტირებას.

ასევე საჭირო და აუცილებელია პროექტები :-

- ტურისტული პოტენციალის წარდგენის კუთხით;
- სამოტივაციო ტიპის გადაცემები (მცირე თუ მსხვილი ბიზნესის წარმოამდგენლების შესახებ);
- სამწერლო და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ინტელექტუალური თამაშები;
- სატელევიზიო პროექტები წიგნიერების დონის ამაღლების თაობაზე;
- დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, გამოჩენილ ღვაწლმოსილ ადამიანებზე;
- გართობა და შემეცნებითი გადაცემები.

პრიორიტეტული მიმართულებები

საგანმანათლებლო გადაცემები;

დისკუსიებსა და შოუებში არხმა უნდა უზრუნველყოს მრავალფეროვნება და მიუკერძოებლობა, რათა ემსახუროს საზოგადოების ყველა ფენას.

საგამომიებო ქურნალისტიკა

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, არხის გადაცემათა ბადე კიდევ უფრო უნდა გამლიერდეს მეტი პოლიტიკური და სოციალური გადაცემებისა და თოქშოუების ხარჯზე. არხმა მიზნად უნდა დაისახოს მათი რეგულარულად, კვირაში რამდენჯერმე გადაცემა, რათა საზოგადოების ნდობა და რწმენა დაიმსახუროს; სასურველია, წარმოებული პროდუქტი, შოუები და გადაცემები განკუთვნილი იყოს ფართო აუდიტორიისა და ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის;

არქივი - ინფორმაციის შენახვის, მართვის და გამოყენების წესები და პირობები უნდა იყოს დაცული.

საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან, ხელს უნდა უწყობდეს ქართული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ამაღლებას. საზოგადოებრივი მაუწყებელი საჯარო დაფინანსებით მოქმედებს და ამიტომ იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საზოგადოების წინაშე.

მისი იდეური და ფორმალური ფუნქციიდან გამომდინარე ის მხოლოდ მოკლევადიან რეიტინგზე ორიენტირებული ბუნებრივია არ უნდა იყოს. უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი ხედვა სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

შედეგი

წარმოდგენილ კონცეფციაში შეთავაზებული შედეგების მიღწევით, საზოგადოებრივი მაუწყებელი თვისებრივად ახალი ტიპის პროდუქტს შექმნის, ინფორმაციის მიწოდების მიზანი ყველა სოციალური ჯგუფისთვის სარგებლის მომტანი გახდება. ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტის მოხმარება პრაგმატულ და წარმატებულ გამოცდილებას შექმნის, თავისთავად გაიზრდება მისი სანდოობის ხარისხიც. რომლის კონტროლსაც მუდმივად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო აწარმოებს.

სოფიო (საფო) კობალაძე

